

მემორანდუმი

ურთიერთანამშრომლობის შესახებ

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტს შორის

ქ.ახლციხე

29.07.2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის
მაკა ბერიძის სახით (შემდგომში - უნივერსიტეტი) და მეორეს მხრივ სსიპ გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის გიორგი სოსიაშვილის სახით (შემდგომში
- უნივერსიტეტი) ერთობლივად წოდებული როგორც მხარეები, პროფესიული განათლების
განვითარების, ორმხრივი ურთიერთობებისა და საერთო ინტერესების გათვალისწინებით,
მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ხელი მოაწერონ აღნიშნულ ურთიერთანამშრომლობის
მემორანდუმს.

მუხლი 1. მიზანი და საგანი

- 1.1 მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა, კერძოდ, პროფესიული
საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში
გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტების მობილობასა და შემდგომი
განათლებით უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა.
- 1.2 მხარეები გამოთქვამენ მზასყოფნას, ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ
პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიულ
სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზება.
- 1.3 პროფესიულ სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებული საკითხები
რეგულირდება თოთოეული მხარის რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 2. მოქმედების ვადა

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერის შემდგომ.
- 2.2 წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადა ითვლება ავტომატურად
გაგრძელებულად, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტას
წერილობითი ფორმით.
- 2.3 მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტა;
- ბ) ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

2.4 ცალმხრივად. წინამდებარე მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა, დასაშვებია მეორე მხარისთვის მინიმუმ 1 თვით ადრე წერილობითი ფორმით ინფორმირების შემთხვევაში.

3. სხვა დებულებანი

- 3.1 მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.
- 3.2 მემორანდუმის მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 3.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამატოლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 3.4 წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას.
- 3.5 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეტაპზე მიმღებად და ინახება მხარეებთან.

6. მხარეთა რეკვიზიტები

<p>სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საიდენტიფიკაციო კოდი: 424066977 მისამართი: ახალციხე, რუსთაველის 113</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p> <p>რექტორი, ასეთი დოკუმენტი მაკა შერიძე</p> 	<p>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542 მისამართი: გორი, ჭიათურის 53</p> <p><i>[Handwritten signature]</i></p> <p>რექტორი, პროფესიონალ უნიტეტი სოსიალული</p>
---	--